საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი 15 მაისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! № 105

ერთობა

ფასი 1 მან

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართ. სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

დამწუხრებულნი: დედა მარიამ, მეუღლე ნინო, შვილები შალვა და გრიშა, ძმა გერასიმე, და ნათესავები, მოძმენი: ივანე სიმონიშვილი, მიხეკო თიკანაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 17 მაისს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

სერგო კონსტანტინეს ძე დონდოლაძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადახდილი იქნება ს. კვირიკეთში (გურია) წმ. კვირიკეს ეკლესიაში.

ბარნაბ გიორგის ძე ხურციძე და მისი მეუღლე პელაგია გიორგის ასული ღრმა მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირებს, რომელთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს წერილობით თუ პირადად მათი დიდი მწუხარების გამო. კერძოთ მადლობას უძღვნიან ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს; ფოსტის კანტორების და ტელეფონის ქსელის მოსამსახურეებს და მათ მეთაურებს; წმ. ნადელიშის უფროსს, მასწავლებლებს და მოწაფეებს; ნიკოლოზის საზოგადოებას; რკ. გზის მოსამსახურეებს, ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს.

მუშათა კავშირის სახლი

აცხადებს, რომ ორშაბათს, 19 მაისს, სახელმწიფო თეატრში დანიშნულია ბელეტრისტ

შიო არაგვისპირელის

(დედაბრიშვილის)

პატივსაცემად საზეიმო საღამო. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

ქართული ლატარია

უნივერსიტეტი—მეცნიერების ტაძარი.
თეატრი—ხელოვნების ტაძარი.

მეცნიერების ტაძარში—გონება ვითარდება.
ხელოვნების ტაძარში—სული ფაქიზდება.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას თავიდანვე წინ დაუდგა მთელი საკითხები, ამ რესპუბლიკათა ზოგიერთ კითხვებში გაერთიანებისა და მათ შორის სოლიდარობის ხაზის გამონახვისა, ამათში მთავარია დაცვა დამოუკიდებლობისა.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ამ პატარა რესპუბლიკებს გადარჩენა ანგარიშში მხოლოდ ერთ შემთხვევაში—როცა ისინი თვით შეძლებენ შინაური საქმეების მოწყობას დამოუკიდებლივ და ერთმანეთში მორიგებას გარეშე ძალის დაუხმარებლათ. სამწუხაროთ, დღემდე არ ჰქონდა იმის იმედი, რომ ესა თუ ის რესპუბლიკა არ შეეცდებოდა გარეშე ძალის გამოყენებას თავის ინტერესების დასაცავად და მათ ჩვენს შინაურ საქმეებში გადამწყვეტ ძალად არ გადაქცევა.

უკანასკნელმა ამბებმა ერთხელ კიდევ [illegible] თვალი იმათ, ვინც მუ[illegible] ამ გარეშე [illegible] და ხანს მხოლოდ [illegible] მოელის.

ამიერ-კავკასიის ბედი ცვალებადი [illegible], აქ იყო გერმანია, შემდეგ ინგლისი, [illegible] ხვალ კიდევ [illegible] ჯერი დადგება, არ ვიცით. [illegible] საზღვაო კომბინაციებს შეუძლიათ დღევანდელი სურათი ხვალ ხელახლა შეცვალონ და [illegible].

ამ რიგად გარეშე ძალის იმედით [illegible], ნაწნავს მეცდარს [illegible]. დღეს [illegible] კომბინაციას, ხვალ მეორეს, დღეს ერთი გახდება უფრო დაახლოებული გარეშე ძალასთან, ხვალ მეორე. და ამით თვით რესპუბლიკათა შორის ცვალებადობის საზღვრებს ვერ გასცილდება. ამით დაირღვევა საბოლოოთ ნდობა ურთიერთის, ნდობა თავის თავის და გამოეთხრება ძირი ყველგან ჩვენს დამოუკიდებელ არსებობას. გაძლიერებით მხოლოდ იმ მეზობელ ძალის, რომელსაც თვითონვე თავის ხელით ჩავრევთ ჩვენს შინაურ საქმეებში.

კონფერენციამ, რომელიც ახლა მუშაობს ტფილისში, უნდა ერთხელ და სამუდამოთ მოუღოს ბოლო ამ დამღუპველ პოლიტიკას. მან უნდა შეიმუშაოს საერთო ხაზი გარეშე სახელმწიფოებთან დამოკიდებულების და ყველამ ერთი პოლიტიკა აწარმოოს ამ საკითხში და, რაც უმთავრესია, წინ უნდა ურთიერთის დათმობით გადაჭრას ის საკითხები, რომელნიც დღემდე სადავო იყვნენ ამ პატარა ერთეულებს შორის. თუ დღემდე იყო საჭირო [illegible], ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს.

და კონფერენციამ უნდა დაუყოვნებლივ დაიწყოს [illegible] შეთანხმებისა. შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, დაანახვებს, რომ ამიერ-კავკასიის ერები არ ემსახურებიან იმ ფრონტებს, რომელნიც ერთმანეთის მტრობით გამოწვეულნი იღწვიან თავის საკუთარი ინტერესებისთვის, რომ ჩვენ გვაქვს უნარი და შეძლება ევროპიული სახელმწიფოებრივ ერთეულის შექმნისა და მისი გაძლიერებისა.

მხოლოდ ამით შეუძლია ამიერ-კავკასიას გადარჩენა [illegible] ერთმანეთის და არა [illegible], რომელიც სახელდობ ჩვენი იქნება და საბოლოოდ სხვისი.

ოსების ეროვნული საბჭო

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება საინტერესო ორი ამბავი ოსების ეროვნულ საბჭოს „მოღვაწეობისა".

ჩვენ ბევრი რამ ვიცოდით ამ საბჭოს „მოღვაწეობის", ვიცოდით, რომ ეგრეთ წოდებულ მთიან ოსეთში ძლიერია ყაჩაღთა ბრბო, რომელიც თავს აფარებს ინტელიგენტთა ჯგუფს და ამ ჯგუფში ბევრი ყოფილი ძველი მთავრობის მოხელეა. ვიცოდით აგრეთვე, რომ ამ კუთხეზე, რომელიც ცხინვალის ზევიდან იწყება ჯავის ხეობით და გუჯინებს თერგის ოლქს როკის უღელტეხილით, ჩვენი მთავრობის გავლენა სუსტია.

ამ ჯერ ბოლშევიკურ მოძრაობის სახით [illegible] აჯანყებამ, რომელიც ცხინვალის გაძარცვით და გორის კომისარი მაჩაბლის და სხვების დახოცვით დათავდა.

აჯანყება თავის დროზე ჩაქრობილ იქნა, მაგრამ, სამწუხაროთ, გორის [illegible], რომელსაც უნდა დაესაჯა დამნაშავენი, ვერ შესძლო საქმის მოწყობა და ცხინვალის ამბების მეთაურები კიდევ უფრო გათამამდნენ და ეროვნულ საბჭოში მოიყარეს თავი.

მათი მოქმედების პროგრამა ჩვენ გაგვეგო ხალხთა ყრილობის დადგენილებიდან: ისინი რუსეთთან შეერთების სურვილს გამოსთქვამდნენ, მაგრამ შემდეგ ამ სურვილზე ხელი აიღეს და ავტონომიის მოთხოვნით დაკმაყოფილდნენ.

კიდევ რომ დავუშვათ ერთი წუთით, რომ შესაძლებელია მათთვის ავტონომიის მიცემა, ცხადია, მათ უნდა ქონდეს ტერიტორია, სადაც ტერიტორიულათ შეიძლება განახორციელონ ჯავის ხეობის სამი სოფლის საზოგადოება.

ოსების საბჭო კი, როგორც ჩვენს სარწმუნო ცნობებიდან [illegible], თავის ძალას აგროვებს ყველა იმ ადგილებზე, სადაც ოსები ცხოვრობენ. ასეთი თავხედობა ამ ჯერ ჯერობით არავის არ გაუგონია, თვით დიდი გერმანია და ინგლისი არ წასულან ისე შორს, არ ჩაუდენიათ ის, რასაც ოსების ეროვნული საბჭო სჩადის.

ოსების ეროვნული საბჭო არ ასრულებს ცხინვალის გამომძიებლის ბრძანებას. მაგრამ ეს ცოტაა. ის ქართულ ენაზე დაწერილ ბრძანებას განუხილველად სტოვებს, თავის „საბრძანებელში" სახელმწიფო ენას არა სცნობს.

ასეთი საქციელი ოსების ეროვნულ საბჭოში ყოვლად შეუწყნარებელია და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი დაუყოვნებლივ აღკვეთა საჭიროა.

მთავრობამ ერთხელ გამოაცხადა, რომ ის არ ცნობს ოსთა ეროვნულ საბჭოს არჩევნებს. ეს ცოტაა, საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს, კანონიერ პასუხისგებაში არიან თუ არა მიცემული დამნაშავენი და რა ზომებია მიღებული იმ უკანონობის წინააღმდეგ, რომელსაც საბჭოს მეთაურნი მაგ ათი [illegible].

დენიკინის შპიკები და ინგლისის დამცველი აგენტები

დენიკინის რომ ჩვენში შპიკები ეხეტებიან, ეს ჩვენ კარგათ ვიცით.

ამისთვის იყო, რომ დენიკინის მოხელეებმა შექმნეს ჩვენში [illegible] ერთად ლეგალური,—თავშესაფარი მათ., ფრანცუზულ ქუჩის „ტიფლისსკაია გაზეტა" და სხ.

მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, თუ დამცველი აგენტები დასჭირდებოდა ჩვენში ინგლისს.

და რაც უფრო გასაკვირია, ეს ის არის, რომ დენიკინის შპიკებს და ინგლისის ინტერესების დამცველთ ერთი გაზეთში ვხედავთ: ეს არის იგივე ქუჩური „ტიფლ. გაზეტა".

ამ გაზეთში აფარებულ ცნობებს იპოვით ყოველ დღე იმის შესახებ, თუ როგორ „კარგათ მიდის" დენიკინის საქმე, როგორი დიდებულათ ესტუმრა ეს შავი გენერალი ბათუმს, როგორი ღირსეული შეხვედრა გაუმართა მას ინგლისის სარდლობამ (თუმცა შემდეგ გამოირკვა, რომ დენიკინი ბათუმში არც მოსულა), როგორ გაიქცა ტფილისის ციხიდან სამტრედიაში შეპყრობილი აფიცერი დეგუთიანცი, რომელსაც ცნობები მიჰქონდა საქართველოს შესახებ დენიკინთან და სხვა. ამ ცნობებთან ერთად მრავლად არის აგრეთვე ცნობები ჩვენი რესპუბლიკის გამასხარავებისა და დამცირებისა...

ყველა ამაებს ჩვენ შევეჩვიეთ, ვინაიდან ჩვენში პრესის თავისუფლებაა"...

მაგრამ ჩვენთვის მაინც გამოუცნობელია—რატომ ინგლისის დამცველ აგენტებს ვხედავთ დენიკინის შპიკების გვერდით?

ჩვენ არ ვეხებით ამ გაზეთის მეოთხე გვერდს, რომელიც ინგლისურ ენაზე იბეჭდება,—რუსულ ტექსტში კი ინგლისის „დამცველად" ასეთ ადგილებს შევხვდებით: „ოსმალების შემოსევის დროს საჭიროა დარჩა შველისათვის ინგლისელებისა და ამერიკელებისადმი მიმართვა. მაგრამ ის, ვინც რამეს გაძლევს, მოგთხოვს, რომ კეთილი საქმე კეთილი საქმითვე უზღო. შეუძლია მოითხოვოს გულწრფელი მხედრობისთვის, სამსახურისთვის განსაზღვრული კომპენსაცია. ორში ერთი—ან ჩვენ უნდა უარვყოთ გარეშეთა დახმარება, ან, თუ ვღებულობთ, უნდა მზათ ვიყოთ ვალდებულებანიც შევასრულოთ".

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისის სარდლობა ბევრჯერ უარჰყო [illegible], რომლითაც ეს სახელმწიფო [illegible] სარგებლობდა. სხვათა შორის, ინგლისის პოლიტიკის ერთ-ერთი შემსრულებელი მიზანი უნდა ჩაითვალოს დენიკინის შპიკების მოღვაწეობა ინგლისის ინტერესების „დამცველებთან" ერთად. ან შეიძლება ეს ერთგვარი პროვოკაციაა—დენიკინის შპიკები ჩვენში ინგლისის შირმას ეფარებიან?

და ეს თუ ასეა,—სად არის ინგლისის პოლიტიკის პასუხისმგებელი წარმომადგენელი?

დამოუკიდებლობის დღესასწაულისთვის

(ოცდაექვსი მაისობა)

ქართველი დემოკრატია ოცდაექვს მაისს დამოუკიდებლობის მოპოვების დღეს დღესასწაულობს. ამიტომ მართებულია, რომ გარეგნულ გამოხატულების მხრივ ამ დღესასწაულს ეროვნული კოლორიტი ჰქონდეს. კიდევ მეტი: სასურველია, რომ პროვინციამ არ წაბაძოს ცენტრში მიღებულ პროგრამას და რამდენადაც შესაძლებელია, დღესასწაულში მეტი ლოკალური ელფერი შეიტანოს. ეს დღე უწინარეს ყოვლისა თვალის და სმენის ლხინი უნდა იყოს. თვითეულმა კუთხემ, თვითეულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა საზოგადოებამ უშუალო ავტონომიური შემოქმედება უნდა გამოიჩინოს. არც ერთი ქართველი არ ეკრძალება, რასაკვირველია, თავისი ფანტაზიისა და ნიჭის ნაყოფი შეიტანოს დიდ დღესასწაულში და თავისებურად გამოხატოს იმედი და აღფრთოვანება, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე განიცდის.

ქართველ ხალხს აქვს კიდეც მშვენიერი მეტყველი ფორმები და გულუბრყვილო სიმბოლოები, რომელნიც მისი პათოსისა ან კომიზმის გრძნობას შეეფერებიან: ასეთია მაყრულთა ყეენობა, ბერიკაობა, ლაზპრობა, ფერხულობა, შაირობა, ჯირითი, მხიარულობა და სხ. ადგილობრივ ტრადიციების მიხედვით ოცდაექვსი მაისისთვის ადვილად შეიძლება ამ ფორმების ნაწილობრივ ან სავსებით აღდგენა.

თავის თავად ცხადია, რომ არც ხელოვნების კომისიას, არც სხვა რაიმე ოფიციალურ დაწესებულებას არ ძალუძს [illegible] ერთი დღესასწაულის შექმნა, სადაც მთელი ერის ფანტაზიისა და გრძნობიერობის ამოძრავებაა საჭირო. ხელოვნების კომისია დარწმუნებულია, რომ როგორც ტფილისსა, ისე პროვინციაში ერობანი, თვითმართველობანი და კულტურული საზოგადოებანი თვითმოქმედებას გამოიჩენენ და დღესასწაულს ხელმძღვანელობას გაუწევენ. ამიტომ ხელოვნების კომისიის მიერ შემუშავებულ პროგრამას უნდა შევხედოთ როგორც უბრალო სქემას, რომელშიაც თვით დღესასწაული ახალი ფერადები უნდა შეიტანოს, ხოლო პროვინციაში შეიძლება სრულებით ახალი სახე მიიღოს.

ხელოვნების კომისიის განზრახვით სანახაობისათვის იქნება ერთი ცენტრალური ადგილი, რომელმაც ხალხის მთავარი ყურადღება უნდა მიიპყროს. ეს იქნება გაშლილი სარბიელი ანუ სტადიონი ვაკეზე (სემინარიის გვერდით), რომელსაც ასი საჟენი სიგრძე და 50 საჟენი სიგანე ექნება. გარდა საცირკო ასპარეზისა, ეს სარბიელი შეიცავს ამფითეატრულ ადგილს, სადაც ხორო და ორკესტრი ეროვნულ ჰიმნსა, ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებებს და ხალხურ სიმღერებს შეასრულებენ: შემდეგ მუსიკის აკომპ. გაიმართება ფიზიკურ-სპორტული ვარჯიშობა და შეჯიბრება (ტყავცვა, ჭიდაობა და სხვა), რომელშიც დაახლოვებით 200 კაცი მიიღებს მონაწილეობას. მონაწილეები ფერად [illegible] იქნებიან გამოწყობილი. გამარჯვებულები ჯილდოს მიიღებენ დაფნის და ზეთის ხილის გვირგვინებს. მაყურებელთათვის შემოფარგლული იქნება ამფითეატრისებური ფერდობი, რომელიც ასი ათას კაცამდე დაიტევს.

როგორც მონაწილეები, ისე მაყურებლები დილით განსაზღვრულ საათისთვის თავს მოიყრიან წინასწარ დანიშნულ პუნქტებში, რათა აქედან მწყობრი პროცესიებით გაემგზავრონ ცენტრალურ ადგილისკენ. მთავარი კორტეჟი ერევნის მოედნიდან დაიწყება და გოლოვინის პროსპექტით გაემართება. კორტეჟს წინ გაუძღვება ორკესტრი, შემდეგ ყვავილებით შემკობილ ეტლზე [illegible] იქნება მეთაური სიმბოლიური ფიგურა, ახალგაზრდა ქალი, ფრიგიული ქუდით და ანთებულ ლამპრით, რომელიც რევოლიუციის გამარჯვების გამოხატულება. მეორე ჯგუფი წარმოადგენს შუბით და ფარით აღჭურვილ ქალს და გვარდიელებს და ჯარისკაცს, დროშის გვირგვინებით შემკობილს და სამეფო ატრიბუტებით გარემოცულს. ეს იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო. მას მოჰყვება პროვინციული ტანსაცმელში გამოწყობილი, ცხენოსან ფეხოსნების კავალკადა, რაიც საქართველოს გაერთიანებას გამოხატავს. სიმბოლიური ფიგურების კორტეჟი დამთავრდება თეთრ სამოსიან ახალგაზრდა ქალების ჯგუფით, რომელიც ყვავილების გირლიანდებით, ხილის კალათებით და სურებით ღვინის განახლებისა და ნაყოფიერების იდეას განასახიერებენ. მათ მოჰყვებიან პროფესიულ კავშირების და ამქრების წარმომადგენლები, რომელნიც დროშებით და ხელობის შესაფერი ხელსაწყობით იქნებიან აღჭურვილნი.

ხელოვნების კომისია მოუწოდებს სახლის პატრონებს ამ დღისთვის აივნები და კედლები ყვავილებით, ხალიჩებით და ხალიჩებით შეამკონ. საღამოს ქალაქი განათებული უნდა იყოს. ამის გარდა სასურველია, რომ ტფილისის მეზობლად მცხოვრები სოფლელები ურმებით და [illegible] ქალაქში, როგორც სოფლის დღესასწაულისთვის სჩვევიათ. მეღვინეებს უნდა აქვთ ამ დღისთვის ვაკეზე [illegible] ან ხელზე [illegible] გამართონ.

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია.

დამფუძნებელი კრება

13 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე აცხადებს სოც.-დემოკრატიული ფრაქციისაგან შემოსულ წინადადებას დამფუძნებელი კრების სხდომის 11 საათზე დაწყების და 3 საათზე გათავების შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა.

გრძელდება მსჯელობა მოქალაქეობის კანონ-პროექტის გარშემო.

ზ. მესხიშვილი (ს.-ფ.) ადასტურებს ი. გობეჩიას წინადადებას და ამტკიცებს, რომ წარმოდგენილი პროექტი მოქალაქეობის შესახებ უაღრესად დემოკრატიულია, ის უფლებას აძლევს საქართველოს მოქალაქეთ წოდებას ყველა იმათ, ვინც რაიმეთი დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიასთან, ამიტომ [illegible] მიღებულ უნდა იქნას.

ი. გობეჩია პასუხს აძლევს მესხიშვილს და უარყოფს მას ნაციონალისტობას. კანონ პროექტიც ნაციონალისტურია და სოციალისტს მისი მიღება არ შეუძლია. საქართველოს მოქალაქეთ უნდა იქნას აღიარებული ყველა ის, ვინც კანონის მიღებამდე საქართველოში ცხოვრობდა.

რ. არსენიძე ფაქტებით ამტკიცებს, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტში არ არის არც ნაციონალიზმი და არც შოვინიზმი. ინტერნაციონალისტისაგან გვეგებია,—ამბობს ორატორი,—ერთი ერი, ერთი სახელმწიფო კლასთა ბრძოლისათვის და საერთოდ მუშათა კლასისათვის უკეთესია მაშინ, როცა ერი ფლობს სახელმწიფოს, ვინაიდან ნაკლებით იქნება მაშინ ეროვნული შუღლი და ბრძოლა. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ არც ერთ რევოლიუციონურ წრეებში არ მიუღიათ მოქალაქეობით სხვა ქვეყნის რევოლიუციონერები და ცდება გობეჩია მაშინ, როცა ის ამბობს, რომ საფრანგეთში უცხოელებიც მიიღეს მოქალაქეობით.

დღეს

გერმანიას გადაწყვეტილი აქვს თავის მხრითაც წარადგინოს საზავო პირობები თანახმად ვილსონის პროგრამისა.

საზავო ხელშეკრულობის საწინააღმდეგო მოძრაობა გერმანიაში იზრდება.

ბოლშევიკების ცნობით საბოლოოთ გადაწყდა, რომ რუსეთის საკითხს საზავო კონფერენცია არ განიხილავს. რუსეთის საკითხს ხალხთა ლიგა გაარჩევს.

ნოვოჩერკასკში ბოლშევიკებმა აეროპლანებიდან ყუმბარები ჩაყარეს.

„ჰუმანიტეს“ ცნობით საფრანგეთის პროლეტარიატიც უარყოფით უყურებს საზავო პირობებს

კანონ-პროექტში არის ისეთი მუხლი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის უფლებას აძლევს იმათ, ვინც რაიმე დამსახურება გაუწია თავისი ღვაწლით საქართველოს, ან და ბრძოლაში გამოიწვია. დასასრულ ორატორი ამბობს, რომ რევოლიუციონურია ის კანონი, რომელიც მუშათა კლასს, დემოკრატიას სარგებლობას მოუტანს და დაიცავს მას უცხო ქვეყნის რეაქციონერებისაგან. ასეთია წარმოდგენილი კანონ-პროექტი და ის აუცილებლად მიღებულ უნდა იქნას.

შ. მესხიშვილი გობეჩიას მიერ წამოყენებულ საბუთებში ხედავს უსუსურობას და აღნიშნავს, რომ სოც.-რევოლიუციონერებს ეჭვი ეპარებათ თავიანთ სოციალისტობა რევოლიუციონერობაში და წარა-მარა იმეორებენ ამ სიტყვებს. მათ მიერ (სოც. რევ.) წამოყენებული პროექტი არსებითად რეაქციონურია: ისინი საშუალებას აძლევენ ჩვენს მტრებს, მაგ. დენიკინელებს, საქართველოს მოქალაქეობა მიიღონ და შემდეგ მას ძირი გამოუთხარონ.

მოხსენებელი (პ. საყვარელიძე) იცავს წარმოდგენილ კანონპროექტს, აბათილებს გობეჩიას მიერ წამოყენებულ ყველა საბუთებს და ამტკიცებს, რომ წარმოდგენილი პროექტი უდიდესად დემოკრატიულიც არის და სახელმწიფოებრივიც და ამიტომ მიღებულ უნდა იქნას.

მუხლობრივი განხილვა თანახმად რეგლამენტისა მოხდება ერთი კვირის შემდეგ.

ერთდროული გადასახადი.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ მცირე შესწორებებით კრებამ მიიღო კანონ-პროექტი ერთდროული გადასახადის შესახებ. კანონის ძალით თითეული დესეტინა მიწა უნდა დაიბეგროს დაახლოებით 120 მანეთამდის. ნავარაუდევია ამ გადასახადისაგან 70 მილიონი მან. შემოსავალი. ეს ფული უნდა განაწილდეს სოფლის საზოგადოებებზე იმის და მიხედვით, თუ სად რამდენი და როგორი ხარისხის მიწაა. თითეული საზოგადოება ანაწილებს გადასახადს თავის წევრებს შორის და ადგენს ამის შესახებ ოქმს. ამ ოქმის წესიერად შედგენას თვალყურს ადევნებს ხარჯთ ამკრეფი ინსპექტორი. ერთდროული გადასახადის კანონით ისპობა 1919 წ. ყველა დანარჩენი გადასახადები მიწაზე.

გრძელდება კამათი სოც. რევოლიუციონერების მიერ შემოტანილ შეკითხვის გარშემო.

თედო ღლონტი აღნიშნავს, რომ სოც. რევოლიუციონერებს ადეიშვილის მოქმედება შეკითხვის საგნათ არ უნდა გამოეყენებინათ. ჩვენი ფრაქცია, ამბობს ორატორი,—სამწუხარო მოვლენათ სთვლის მომხდარ ფაქტს და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რომ ასეთი ამბები არ განმეორდეს.

ი. მაჭავარიანი (ნაც.-დემ.) ილაშქრებს საზოგადოთ მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. ორატორი ზოგიერთ ადმინისტრატორთა მილიციონერთა უპასუხისმგებლობას იმით ხსნის, რომ მთავრობა ამა თუ იმ ადგილებზე ნიშნავს პარტიულ ამხანაგებს. ორატორს მოჰყავს მაგალითი თიანეთის მაზრის კომისრის მიერ გედევანის და ზურაბულის დაჭერის შესახებ, რომლებიც არაფერში არ იყვნენ დამნაშავენი და კიდევაც განთავისუფლდნენ, მაზრის კომისარი კი არ დასჯილა. დასასრულ ორატორი საყვედურს გამოსთქვამს, რომ თფილისის მილიცია დღემდე არ იქნა გაწმენდილი.

ნ. რამიშვილი (შინ. მინ.) აღნიშნავს, რომ მაჭავარიანმა გაილაშქრა მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ და არც ერთი ფაქტი, საბუთი თავის აზრების დასამტკიცებლად არ მოუყვანია. პარტიული მოსაზრებებით არც ჩვენ და არც ერობა, რომლის ხელშია დღეს ადგილობრივი ადმინისტრაცია, არ ვხელმძღვანელობდით. ამის მაგალითს აქ ვერავინ ვერ მოიყვანს, შემდეგ მინისტრი ეხება თიანეთის კომისრის მიერ გედევანის და ზურაბულის დატუსაღებას, (რომელშიაც ნაც. დემ. დაინტერესებულნი არიანო) და ამბობს რომ როგორც ზურაბულს, ისე გედევანს ბრალი ედებათ კომისარიატზე თავდასხმაში და ამ დღეებში მათ შესახებ საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცემა. ორატორი ამტკიცებს, რომ არც ერთი მაგალითი არ ყოფილა იმისი, რომ ბოროტმოქმედება გამომჟღავნებულ იყოს და დამნაშავენი არ დასჯილან.

თფილისის მილიციის გაწმენდის მაჭავარიანმა გამოიყენა მთავრობის საწინააღმდეგოთ. რა უფლებით? მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ადმინისტრატიული აპარატის ჯეროვანად მოსაწყობად. თუ იმ მხრით მივუდგებით საკითხს რა უნდა გაეკეთებინა მთავრობას: მაშინ, ცხადია, რომ მთავრობამ გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეეძლო. ადმინისტრატიული ზომები მიიღო, დანარჩენი კი სასამართლოს საქმეა.

რ. არსენიძე აღნიშნავს, რომ შეკითხვის მიზანი უნდა ყოფილიყო, რომ დამნაშავე-ბოროტმოქმედი არ დარჩეს დაუსჯელი. ეს კი, როგორც მინისტრის განმარტებიდან გვიგეთ შესრულებულია.

მაგრამ ეროვნულ-დემოკრატებს სურთ დაამტკიცონ, რომ ჩვენი მთავრობა არ ებრძვის ბოროტ-მოქმედებას, თავის პარტიულ ამხანაგებს ხელს აფარებს და სხ. ორატორი კატეგორიულად აცხადებს, რომ სოც.-დემ. პარტიას არც ერთი თავის წევრისათვის ხელი არ დაუფარებია და არც დააფარებს.

მთავრობა რომ თვალყურს ადევნებს—ამბობს ორატორი—ადმინისტრაციის მოქმედებას და დამნაშავეებს სჯის, ეს თფილისის მილიციის გაწმენდისაგანაც სჩანს. დღემდე რათ არ გაიწმინდაო, გვეუბნებიან ნაც.-დემ. შუბლზე არავის არ აწერია, მე ბოროტ მოქმედებას ჩავიდენო. როცა გამომჟღავნდა ბოროტ-მოქმედება, შესაფერი ზომები იქნა მიღებული. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ არც ერთ რეჟიმს არ ჰქონია ისეთი აპარატი, რომ ბოროტ-მოქმედნი არ ყოფილიყვნენ. დემოკრატიული მთავრობა იმით განირჩევა სხვა მთავრობისაგან, რომ ის დამნაშავეებს ხელს არ აფარებს, სჯის. ჩვენი მთავრობის მიერ მიღებული ზომები სავსებით დამაკმაყოფილებელია.

მიღებულ იქნა სოც.-დემოკრატების მიერ შეტანილი წინადადება, რომელშიაც დამფ. კრება აცხადებს, რომ ის კმაყოფილია მთავრობის განმარტებით, დამნაშავეთა წინააღმდეგ მიღებული ზომებით და დარწმუნებულია, რომ მთავრობა მომავალში ყოველ ზომებს მიიღებს, რომ ადმინისტრაციის მხრით რაიმე ბოროტმოქმედებას ადგილი არ ექნეს.

ივ. ჰავჰანიძე მოხსენებას აკეთებს რკინისგზელთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც რკინის გზის მოსამსახურენი განიცდიან და ამბობს, რომ ჯამაგირის მომატება აუცილებელი იყო. უმთავრესად კანონ-პროექტში ყურადღებაა მიქცეული კვალიფიციურ მუშებზე. ყველა მოსამსახურენი გაყოფილნი არიან ორ კატეგორიათ: დაბალი და მაღალი მოსამსახურენი. დაბალი მოსამსახურენი გაყოფილნი არიან 14 კატეგორიათ, მაღალნი კი 14 ხარისხად. ჯამაგირების მომატება სახელმწიფო ხაზინას მისცემს 18 მილ. მანეთ დეფიციტს, რომლის დასაფარავად გზათა სამინისტრო განზრახავს შემდეგი ზომების მიღება. შტატების შემცირება, დახურვა იმ სადგურებისა, რომელნიც ტექნიკურად საჭირო არ არის (ასეთი სადგურია 11).

ბ. ჰაჰანიძე, გზათა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი დაწვრილებით მოახსენებს კრებას იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს მოსამსახურეების ჯამაგირის მომატება და აღნიშნავს იმ ზომებს, რომელიც უნდა იქნას მიღებული ამ მომატების მიერ გამოწვეულ ხარჯის დასაფარავად.

კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა შემდეგისათვის გადაიდო.

ალ. ს.

ნიმუშები ოსების ეროვნულ საბჭოს „მოღვაწეობიდან“

საჩხერეში.

საჩხერის უბნის სასამართლოს გამომძიებელმა 19 ამა მარტს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს გამოუგზავნა მოწერილობა, რომელშიაც აღნიშნა მიზეზები საქმეთა დაუმთავრებლობისა და, სხვათა შორის, აცნობა: „მიუხედავათ ამისა, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მე ვაგზავნე ჩიხის და არაგვეთის საზოგადოებების კომისრების სახელზე მოწმეთა და დამნაშავეთა მოწოდებას. კომისრები მიბრუნებენ მოწოდებას, რომელზედაც წარწერილია: „ამა და ამ მოწოდებულმა ოსებმა უარი განაცხადეს მოწოდებაზე ხელის მოწერისა და გამოცხადებაზე და აცხადეს, რომ მათ ყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობა, რომელსაც ექვემდებარებიან და ემორჩილებიან, სხვა მთავრობას კი არ ემორჩილებიან და საჩხერის გამომძიებელთან ამიტომ არ გამოცხადდებიან“.

ცხინვალში.

ცხინვალის გამომძიებელი სწერს სამხრეთ-ოსეთის ნაციონალურ (ეროვნულ) საბჭოს თავმჯდომარეს: „გთხოვთ დაუყოვნებლივ წარმომიდგინოთ ავეჯი, წართმეული, მას წაგლეჯილ ქალის კალაგოვის მკვლელ კონსტანტინე ბეგიზოვისაგან, წარმოდგენილი თქვენთან კომისრისაგან მთის-ოსეთისა ლ. ცხოვრებოვის მიერ,—სახელდობრ: ქისა 123 მანეთი 15 კაპ. ფულით, ქალის შავი საათი და მოწმობა ქ. ბეგიზოვის სახელზე და აგრეთვე მისივე ბილეთი“.

პასუხი (რუსულად):

„ცხინვალის ნაწილის გამომძიებელს. სამხრეთ-ოსეთის ეროვნული საბჭო გიბრუნებს რა ამ მოწერილობას იმის გამო, რომ საბჭოში არ მოიპოვებიან მთარგმნელნი და ისეთი პირები, რომელთაც იციოდნენ ქართული ენა, გთხოვთ ეროვნულ საბჭოსთან მიწერ-მოწერა აწარმოვოთ რუსულ ენაზე. სამხრეთ-ოსეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ი. პლიევი. მდივანი N. № 1870. 12 II—1919 წ.“.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 მაისი

გერმანული პრესის ცნობები.

მოკავშირეთა მიერ ვერსალში წარმოდგენილ საზავო პირობების შესახებ შვედური გაზეთი „პოლიტიკენი“ სწერს: „ჩვენ ისეთი სინამდვილის წინაშე ვდგევართ, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ვილსონის და ხალხთა ლიგის იდეალებს. ზავის პირობები ყოველივე უსამართლობას და უსირცხვილობას აღემატება და ტიპიური კაპიტალისტური ზავია. ამ ზავს შედეგათ არაფერი მოჰყვება გარდა იმისა, რომ შექმნის ომის მუდმივ საფრთხეს და უკმაყოფილებას მუშათა შორის, რადგანაც საზავო პირობები ისეა შედგენილი, თითქოს პროლეტარიატი სრულებით არ არსებობდეს.

ვერსალის საზავო პირობებმა კომერციულ და ფინანსიურ წრეებში და ბირჟაზე რყევა გამოიწვიეს. გერმანიის ბირჟაზე მიუნხენის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ კურსის ზრდა დაეტყო, ეხლა კი მოულოდნელად ისევ ეცემა, მას შემდეგ, რაც საზავო პირობების შესახებ პირველი ცნობები მოვიდა. რამდენიც უფრო მეტი ცნობები მოდის ვერსალის საზავო პირობათა შესახებ, იმდენად კურსი უფრო დაბლა იწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნეიტრალურ ქვეყნების კომერციულ წრეებს არა სჯერა, რომ გერმანიაში ნორმალური კომერციული ცხოვრება აღდგეს, თუ გერმანია ვერსალის საზავო პირობებს მიიღებს.

კვირას შესდგა გერმანიის ეროვნული ყრილობის სხდომა, რომელზედაც ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საზავო პირობები იმ სახით, რომელიც ვერსალში წარმოადგინეს, შეუსრულებელი და მიუღებელია. დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც განსაკუთრებითაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ საზავო პირობები დროებითი შეთანხმების დროს მიცემულ სიტყვას არღვევს. პირობები არ შეიცავენ დაპირებულ თვითგამორკვევის უფლებას, ვაჭრობის თავისუფლებას და მიუდგომელ სამართლიანობას.

ყოფილი ელჩი რანცაუ საზავო პირობების შესახებ ამბობს, რომ ის არ არის ზავის პირობები და აცხადებს, რომ ასეთი პირობები ვერ შექმნიან ზავს და ყოველ შემთხვევაში ისეთ ზავს, რომელიც ვილსონის პროგრამიდან გამომდინარეობდეს. შემდეგ მას მოჰყავს სტატისტიკური ცნობები; მაგალითად, ტიროლში იტალიელები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ ტიროლში გერმანელები უმცირესობას შეადგენენ, ნამდვილად კი, ზოგან გერმანელები არამც თუ უმრავლესობას შეადგენენ, არამედ—მთელი სოფლები მხოლოდ გერმანელებითაა დასახლებული ისევე, როგორც მაგალითად, სალურნის სამხრეთით მდებარე ადგილები განსაკუთრებით იტალიელებითაა დასახლებული.

ფაქტებს ამახინჯებენ და თუ პარიზის კონფერენცია თავის დასკვნებს ასეთ ყალბ ცნობებზე ამყარებს, ეს დიდ გაუგებრობას გამოიწვევს.

გერმანიის ვაჭართა კავშირის ცნობილი ბელადი ლეგიენი ვერსალიდან ბერლინში გაემგზავრა. ცნობებია, რომ ბერლინში მიემგზავრებიან აგრეთვე მინისტრები გ. ლეინსბერგი და ლანდსბერგი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თათბირში. ჯერ არ იციან რამდენი ხანი დარჩებიან ისინი ბერლინში.

გერმანიის მთავრობამ მოკავშირეთა კომისიას სპაში 4 ნოტა გაუგზავნა. პირველი თებერვლის შუა რიცხვებში, უკანასკნელი მაისის 3. ამ ნოტებში მოკავშირეებს ნებართვას სთხოვენ ლიბავიდან რიგაში ერთი გემი გაგზავნონ, რათა რიგაში მყოფი გერმანელები და სხვა გაქცეულები ჩამოიყვანონ. მოკავშირეებმა არც ერთ ნოტაზე პასუხი არ გასცეს გერმანიის მთავრობას, რის გამოც უკანასკნელის ბრალი არაა, რომ ეს ხალხი იღუპება.

ფრანგული პრესის ცნობები.

საზავო ხელშეკრულების ძალით ახალშენები ტოგო და კამერუნი საფრანგეთის ხელში გადადის იმ პირობით, თუ საფრანგეთი ინგლისს შეუთანხმდება ამის შესახებ.

კლემანსოსადმი მიწერილ წერილში ბროკდორფმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ხელშეკრულების ზოგი პირობები გერმანიის ხალხისთვის მიუღებელია და ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედო დროებითი ზავს. კლემანსომ ყველა მოკავშირეს სახელით უპასუხა, რომ ისინი ამ საკითხის განხილვას არ შეუდგებიან.

მეორე წერილში ბროკდორფმა გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანიას წინადადებას აძლევენ ხელი მოაწეროს ისეთ ზავს, რომელშიაც ხალხთა ლიგის პირობებიც შედის, მაშინ, როდესაც გერმანიას არ მისცეს ლიგაში შესვლის წინადადება. ბოლოს ბროკდორფი აცნობებს გერმანიის საპასუხო პირობებს. კლემანსომ უპასუხა, რომ გერმანული ტექსტი კომისიას გადაეგზავნება და რაც შეეხება ლიგას, ახალი წევრების მიღება ყველასთვის შეიძლება, რაც ნათლადაა ნათქვამი ხელშეკრულებაში.

მთავრობათა თავმჯდომარეებმა ვილსონმა, ლოიდ ჯორჯმა, კლემანსომ და ორლანდომ ორშაბათს დილით ითათბირეს და შეიმუშავეს პასუხი, რომელიც უნდა მისცენ ბროკდორფ-რანცაუს ორ ნოტაზე, რომელიც შაბათს საღამოთი წარმოადგინეს. პირველი ნოტა შეეხება შრომის საერთაშორისო დაკანონებას გერმანიაში, მეორე—სამხედრო ტყვე გერმანელებისადმი მოპყრობას.

შესდგა საზავო კონფერენციის დროებითი ზავის კომისიის სხდომა უკრაინის საქმეების, სამხედრო ტყვეთა საკითხის და სხვა განსახილველად.

ინგლისური პრესის ცნობები:

ბუდაპეშტში კომუნისტების საწინააღმდეგო შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულების მეთაური მომწყობი ოფიცერი ლორმანდი, რომელიც მოკავშირეთა მისიებთან იყო მოვლენილი, სამხედრო დიქტატორი უნდა გამხდარიყო.

ბერლინში და ფრანკფურტში ბირჟა დაიკეტა. ერთი კვირით დაიკეტა აგრეთვე ყველა გასართობები და თეატრები. შეიდემანის და ებერტის საქციელი ყველასთვის მაგალითის მაჩვენებელია: შეიდემანი ორშაბათს ეროვნულ ყრილობაზე სიტყვას წარმოსთქვამს. მოელიან, რომ მთავრობის ერთი ნაწილი პროტესტს განაცხადებს ზავის პირობების მიღების წინააღმდეგ, რათა ამით გერმანიის სასარგებლო შთაბეჭდილება მოახდინონ დანარჩენ სახელმწიფოებში.

გერმანელებს გადაწყვეტილი აქვთ თავის მხრითაც წარადგინონ ზავის პირობები, რომლებიც ვილსონის 14 მუხლის საკუთარ ახსნა-განმარტებაზე იქნება აგებული.

ბელა კუნის მთავრობა მოკავშირეებმა განზრახ არ სცნეს.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი, მაისის 13. ნაუენი, მაისის 11. გერმანიის ეროვნულ ყრილობის მაისის 8-ის სხდომაზე დამოუკიდებელმა სოციალისტებმა განაცხადეს, რომ ვერსალის საზავო პირობები მიუღებელია და მოელიან მთელი ქვეყნის პროლეტარიატის დახმარებას. ჰამბურგში საშინელი უკმაყოფილებაა ახალშენების და სავაჭრო ფლოტის ჩამორთმევის გამო. მუშათა წრეებში მღელვარება და უკმაყოფილება იზრდება. იმ შემთხვევაში, თუ ეხლანდელი მთავრობა გადადგა, შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელთა მთავრობა, რომელიც ზავს ხელს მოაწერს, რადგან მთელი ქვეყნის რევოლიუციის იმედი აქვს. ბრესლავის სახალხო საბჭო სილეზიის ხალხს შემდეგი მოწოდებით მიმართავს: „სამშობლოს საფრთხე მოელის. მტრებმა უსამართლესი მოთხოვნილება წარმოგვიდგინეს, მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს ზავი არ იქნება მტკიცე და სილეზიაში შიმშილობას გაამწვავებს. პარიზი, 10 მაისი. საბოლოოთ გადაწყდა, რომ კონფერენცია რუსეთის საკითხს არ განიხილავს. რუსეთის საკითხის გადაწყვეტა, თუ შემთხვევა იქნა, გადაეცემა ხალხთა ლიგას. ნაუენი. 11 მაისი. პრუსიის ლანდტაგის სხდომაზე თავმჯდომარემ ფირგიმ, როდესაც საზავო პირობებს იხილავდა, განაცხადა: „პირობებში სამართლიანობის კვალიც არ არის. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენმა სამშობლომ და მთელმა ევროპამ ის ცხოვრებაში გაატარა, ის მხოლოდ ცრემლის და სისხლის წყაროთ გადაიქცევა. მოსკოვი. 13 მაისი. სამხრეთის ფრონტი. ბახმუტის და იუზოვკის რაიონები. სადგურ ხარცისკაიასთან ბრძოლაა. კამენკის რაიონი: მოწინააღმდეგე შეტევას განაგრძობს, ბრაცინის რაიონში მტრის შეტევა შევაჩერეთ. სამხრეთით ჩვენ დავსტოვეთ ბურლოვსკაია. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ნოვოჩერკასკში ყუმბარები ჩამოყარეს. ველიკოკნიაჟეს მიმართულებით მოწინააღმდეგის იერიში მოვიგერიეთ. ბრძოლა გრძელდება. აღმოსავლეთის მოწინააღმდეგე მანიჩზე გადმოვიდა. ბრძოლა გრძელდება. დონის მიმართულებით მოწინააღმდეგემ დაიჭირა რემონტნაია და ველიკკი. იზიუმი, მაისის 11. ქალაქის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ აზოვიდან, როსტოვიდან, ნახიჩევანიდან, ტაგანროგიდან, ნოვოჩერკასკიდან და სხ. ქალაქებიდან გასვლა აკრძალულია. ამ ბრძანების დამრღვევს დააჯარიმებენ 5000 მანეთით ან 8 თვით დააპატიმრებენ. ნაუენი, მაის. 12. გერმანიის პრესა აღაფრთოვანა „ჰუმანიტე“-ში დაბეჭდილმა განცხადებამ, რომ საფრანგეთის პროლეტარიატიც უარყოფითად უყურებს ვერსალის ხელშეკრულებას. ნაუენი. მაის. 11. მაისის 8 სპაში მოკავშირეებს შემდეგი ნოტა გადასცეს: „დანციგში მყოფი ამერიკის კომისია, რომელიც პოლონეთში სურსათს ზიდავს, აპირებს პოლონეთს მიაწოდოს სურსათის გარდა სასანიტარო მოწყობილება, ავტომობილები, რეზინის შინები საკერავი მანქანები, მანუფაქტურა და სხვა. გერმანიის მთავრობა ამაზე პროტესტს აცხადებს. გერმანიის მთავრობას ევალებოდა დანციგით პოლონეთში გაეშვა სურსათი, მაგრამ სამხედრო მასალის გატანა პირობის თანახმად დაუშვებელია. სპაში დადებულ ხელშეკრულების თანახმად გალლერის ჯარი შტეტინის ნავთსადგურიდან უნდა იქნეს გადაყვანილი. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს მომავალში ჯარის გადაყვანის გაგრძელების გამო. შაბათს გერმანიის მთავრობის სხდომა იყო დანიშნული გერმანიის მიერ კონტრ-წინადადების გამოსამუშავებლად.

ახალი ამბები

იტალიის მისიის წარმომადგენლებმა გუშინ ინახულეს დამფუძნებელი კრების უფროსი თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე და საუბრის დროს გამოსთქვეს სურვილი დამფუძნებელ კრების სხდომაზე დასწრებისა.

◆ **არამიანცის განთავისუფლება.** 12 მაისს ღამით ქალაქის მილიციის უფროსის თანაშემწემ დაატუსაღა რამოდენიმე საეჭვო პირი არამიანცის გატაცების გამო, მათ შორის, ავტომობილის შოფერიც. შოფერის ჩვენებით მილიციის უფროსის თანაშემწე, მილიციონერების თანხლებით გაჰყვა იმ გზას კუკიის სასაფლაომდე, საითკენაც წაიყვანეს არამიანცი. ამ რაიონში მთელი ღამე სასტიკი ზომები იყო მიღებული ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად. 13 მაისს ღამით მილიციის უფროსის მეთაურობით მთელს ნაძალადევში ჩხრეკა სწარმოებდა; ამავე დროს დატუსაღებულ იქნა რამოდენიმე საეჭვო პირი. აღმოჩენილ იქნა იარაღი. 14 მაისს გათენებისას ბოროტ-მოქმედებმა განთავისუფლეს არამიანცი.

◆ **დუშეთში შეიპყრეს** მღ. არონ დონდოლაძე, რომელსაც ბრალდება ოზურგეთის ფოსტის გაძარცვაში მონაწილეობა.

◆ **არჩევნები ბორჩალოს მაზრაში.** 14 მაისს გამოქვეყნდა ბორჩალოს მაზრის საარჩევნო სია. ერობის არჩევნები დანიშნულია 8 ივნისისათვის.

◆ **ამერიკელებმა** „აშხაბ.“ სიტყვით ჯარი გადმოსხეს ტრაპიზონში.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის კომიტეტმა** დაადგინა კვირას, 18 აპრილს მოაწყოს თფილისის ქუჩებზე გრანდიოზული მსვლელობა. სახალხო უნივერსიტეტის ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, უნივერსიტეტის მსმენელნი და ლექტორები შემოივლიან ქუჩებს გზა და გზა წარმოითქმება სიტყვები. მიზანი ამ მსვლელობისა არის სახალხო უნივერსიტეტის იდეის პოპულარიზაცია. სთხოვენ მსმენელებს გამოცხადდნენ კვირას, დილის 10 საათზე, სახალხო უნივერსიტეტში.

◆ **თფილ. კვანძის რკინის გზელთა** კავშირების კულტურულ-განმანათლებელი ცენტრალური კომისია, რომელშიაც შედიან ნაძალადევის და დიდუბის საოლქო კომიტეტების წარმომადგენლები და რომელმაც უნდა აწარმოვოს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, როგორც კვანძში, აგრეთვე დიდუბეში და ნაძალადევში, დღეს 15 მაისს საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში იწვევს აღნიშნული რაიონების სცენის მოყვარეთა საზოგადო კრებას ერთი ლიური წრის შესაქმნელათ. სთხოვენ კომისიის დავალებით ყველა სცენის მოყვარეებს მობრძანდნენ აღნიშნულ კრებაზე და ხელი შეუწყონ როგორც წრის შექმნას, აგრეთვე მის მომავალ მუშაობას.

◆ **პარტიიდან დათხოვნა.** თანახმად მესამე რაიონული კოლექტივის დადგენილებისა კოლექტივი ითხოვს პარტიის წევრობიდან შემდეგ პირებს: ლეონიდე შარაშიძეს და ივანე ალექსის ძე თეოდოროვს.

◆ **თფილისის საგანგებო სასამართლომ** 10 და 11 მაისის სხდომებზე გაარჩია 1918 წ. აგვისტოს 12-ს ქ. გორში მოკლულ აფიცერ დავით წერეთლის საქმე. პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი გ. რუსტამოვი და მათიევი. სასამართლომ დამნაშავეთ სცნო გვარდიელი გ. რუსტამოვი და მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მათიევი, სასამართლომ სრულიად გაამართლა.

◆ **იუსტიციის მინისტრის** ამხანაგი ს. დ. ჯაფარიძე თანახმად მისი თხოვნისა მთავრობის დადგენილებით დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მეშვიდე განყოფილებაში (საბურთალოს სახალხო თეატრი) დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა“; 2) სერ. ქურქულიანისა „საქართველოს მწერლობის ისტორია“; 3) ექ. ალშიბაია „ელექტრობა და ორთქლის ძალა“.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღ. 6 საათზე ვერის პირველ მუშათა კლუბში დანიშნულია მეოთხე რაიონთან არსებულ მომღერალთა გუნდის კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ს. ფხვენისის (გორის მაზრა) ს. ს.-დ. ორგანიზაციამ ოქრო ლაცაბიძემ გაუწერა გაზეთი „ერთობა“ წლის ბოლომდინ ვენე ნიკურაძის (ვ. ადიათიშვილი) ხსოვნის აღსანიშნავად.

— **ს. მოხისი (გორის მაზრა)** ეს სოფელი მეტად ჩამორჩენილია. კულტურული დაწესებულებანი აქ სულ არ არსებობენ. მასწავლებლების თაოსნობით აქ როგორც იყო დაარსდა სამკითხველო, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ დაწინაურებულა.

— **ბუკის ციხის (ოზურგეთის მაზრა)** ტელეგრაფის განყოფილება 10 მაისიდან გარდაიქმნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებით. ფოსტის გაცვლა-გამოცვლა დაწესებულია ჩოხატაურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან, რომელიც დაშორებულია ბუკის-ციხიდან ექვსი ვერსით.

ზესტაფონი. კვირას, 18 მაისს, ზესტაფონში დანიშნულია შორაპნის მაზრაში არსებულ სოც.-დემ. კოლექტივების წარმომადგენლების ყრილობა. დღიური წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან; 2) პრეზიდიუმის მოხსენება; 3) სამაზრო კომიტეტის არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები.

მდგომარეობა თურქესტანში

18 მაისს ჩვენ კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა თურქესტანის დამფუძნებელი კრების მოწვევის კომიტეტის წარმომადგენელთან ბ. ჩოკაევთან (ყოფილი თავმჯდ. თურქ. ავტ. მთავრობისა), რომელიც მიემგზავრება ევროპასა და ამერიკაში თურქესტანის საქმეების გამო. ბ. ჩოკაევმა შემდეგი ცნობები გადასცა თურქესტანის, ხივის, ბუხარის, ავღანისტანის და ინდოეთის შესახებ:

მას შემდეგ, რაც დაეცა თურქესტანის ავტონომიური მთავრობა (1918 წ. შემდეგ), რომლის სათავეში მე გახლდით, მუსულმანი მცხოვრებლები ერთიანად, დაიქსაქსნენ, რადგანაც მათ პოლიტიკური ცენტრი აღარ ჰქონდათ და ხელმძღვანელი ორგანო ჩაიფუშა. ამ გადატრიალების დროს ქ. კაკანდი ერთიანად განადგურებულ და დანგრეულ იქნა. ახალმა ბოლშევიკურმა მთავრობამ ტერორით დაიწყო მოქმედება. მუსულმანი მცხოვრებლები (სართები და ყირგიზები) შეადგენენ მთელ მხარეში 95 პროცენტს, დანარჩენი რუსებია. სახალხო კომისართა საბჭომ დაუწყო ბრძოლა ამ ხალხს პირდაპირ უნახავი საშუალებით: კომისრებმა ბრძანება გასცეს, რომ მუსულმან მცხოვრებთათვის პური არ მიეცათ. უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნენ მცხოვრებლები, რადგანაც იქ პური არ მოჰყავთ, არამედ მისდევენ ბამბის მოყვანას და თურქესტანი ყოველ წლივ 33 მილიონი ფუთი პურის შეტანას საჭიროებდა. გაჩნდა შიმშილი, რომელსაც მოჰყვა ავადმყოფობა და ამან იმსხვერპლა 1 მილიონამდე ხალხი, ყირგიზები და სართები, უმთავრესად სოფლის მცხოვრებლებია, რადგანაც ქალაქში მცხოვრებთ, ვინც ჩაწერილი იყო ბოლშევიკების ც მემარცხენე ესერების პარტიაში, აძლევდნენ პურს. მცხოვრებთ (სულ 10 მილიონია მუსულმანები) არავითარ წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ, რადგანაც მეტად პასიური ელემენტია, იარაღი არა აქვთ, რადგანაც სამხედრო ბეგარას არ იხდიდნენ. ამ გარემოებამ გამოიწვია ბამბის მოყვანის შემცირება და იწყეს პურის თესვა, რამაც მდგომარეობა მეორე ასე თუ ისე გააუმჯობესა. ეხლა ადგილობრივ მცხოვრებლებში სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციები ფეხს იკიდებს და კულტურული მუშაობა ჩადგება. ადგილობრივი ინტელიგენციის ძალ-ღონე აქეთკენ არის მიმართული. ამას ბოლშევიკური მთავრობაც არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ხელს უწყობს. მათ გახსნეს, მაგალითად 75 პირველდაწყებითი სკოლა ტაშკენტში და სხ. მაგრამ კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი სართებსა და ყირგიზებში მაინც საშველი ნაკლებია, ვიდრე რუსებში. თურქესტანის დამფუძნებელი კრების მომწვევი კომიტეტიც ენერგიულად მუშაობს. ის სდგას შემდეგ პოზიციაზე: თურქესტანი არის ნაწილი რუსეთის დემოკრატიული ფედერაციისა, მისი წყობილება დემოკრატიულია, ის უარყოფს, როგორც რეაქციონურ რუსეთს, ისე ბოლშევიკურს და სდგას ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. ამ მიზნით მიდიან ჩვენი დელეგატები ევროპაშიც. სახალხო კომისრები აგრეთვე ხელს უწყობენ შინამრეწველობის განვითარებას. 1918 წელს დათესილ იქნა 10 პროც. ბამბისა. ამ წელს კი აზრად აქვთ 20 პროც. დათესვა. საბჭოთა მთავრობა ჰპირდება 5,000 მ. მიცემას ფუთზე. დაქირავებული შრომა, რომელიც რამოდენიმე ხნით მოისპო, ისევ აღდგენილ იქნა. საქონლის მოყვანა დაეცა. სახალხო კომისრების უკმაყოფილოა არა თუ მუსულმანები, არამედ თვით რუსებიც. წინანდელ წლის 18 იანვარს ერთმა კომისარმა, გვარად ოსიპოვმა, მოაწყო აჯანყება ტაშკენტში, მცირე ხნით ტაშკენტი ხელთ იგდო, მაგრამ მალე დაამარცხეს. ის გაიქცა და გაიტაცა 6 მილიონი ნიკოლოზის ფული, 8 მილიონი „კერენკები“, 12 მილიონი „საბჭოთა“ ფული და 1 მილიონი ოქრო. ოსიპოვს მხარს უჭერდნენ ბოლშევიკებში კარგად ცნობილი მუშები აგაპოვი, პოპოვი და ცვეტკოვი. ამ აჯანყების დროს მოკლულ იქნა 4,000 კაცი. მათ შორის კერენსკის ძმა, რომელიც ტაშკენტში პროკურორის ამხანაგად იყო. სახალხო კომისრების გავლენა მთლიანად ვრცელდება სამარკანდის და სირდარიის ოლქებზე, ფერგანის ოლქში მხოლოდ ქალაქებში. სოფლებში კი მოქმედობენ მუსულმანთა რაზმები და ისინი არიან ბატონ-პატრონები. სემირეჩინსკის ოლქში მოქმედობენ ყაზახები და ყოფილი ციმბირის ჯარები, ამიერ-კასპიის ოლქში კი ბატონობს 5 კაცისაგან შემდგარი მთავრობა, რომელსაც ჰქვია „საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტი“. მთავრობაში შედის 3 რუსი და 2 მუსულმანი. აი ამ 5 ოლქისაგან შესდგება კიდეც, როგორც იცით, მთელი თურქესტანი და ასეთია იქ მდგომარეობა.

ბუხარაში ძალა-უფლება ბუხარის ემირის ხელშია. იქ იმყოფება აგრეთვე სახალხო კომისრების წარმომადგენელი, რომელსაც რეზიდენტი ჰქვია. აჯანყება გლეხებისა ბუხარაში ხდება, მაგრამ ემირი ცეცხლითა და მახვილით აქრობს. გადასახადები დიდია.

ხივაში ამ უკანასკნელ ხანს სხვა და სხვა დინასტიების ბრძოლა იყო. ეხლა იქ გაბატონებულია იომუდების ტომის მეთაური ჯუნიტი. ის პირველად ბოლშევიკებს ებრძოდა, მაგრამ ეხლა კარგი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთში. კომისრებმა იქ გაგზავნეს თავის პროპაგანდისტი, რომელიც საბჭოთა რუსეთისაკენ მოუწოდებს და ინგლისის წინააღმდეგ იღაშქრებს.

ავღანისტანში დიდი ბრძოლა იყო ამ ბოლო დროს. იბრძოდა ორი მიმდინარეობა: ანგლოფილური და დამოუკიდებლობის მომხრენი, რომელიც მოითხოვდა, რომ ავღანისტანი ყოფილიყო სუვერენული სახელმწიფო. გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა მიმდინარეობამ, რომელსაც მეთაურობდა ამან-ულლა ხანი. ეხლა ის ბატონობს. ტახტზე ასვლისას ახალმა ხანმა გამოაცხადა ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთათვის. ავღანისტანს კავშირი აქვს თურქესტანის კომისრებთან.

ინდოეთის ქალაქებში დელიში, ბომბეიში, ახმედ-აბადში და სხვაგან ამ უკანასკნელ თვეებში აჯანყებები დაიწყო. აღელვებული ხალხი ხოცავდა ინგლისის მოხელეებს. ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გერმანიის მიერ მოსყიდული ანარქისტები ეწევიან პროპაგანდასო. ეხლა შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. ინდოეთის აგიტატორებს მჭიდრო კავშირი აქვთ თურქესტანის სახალხო კომისრებთან და მათი საშუალებით მოსკოვთანაც. ამას წინად თურქესტანში მოვიდა ორი პირი, ერთი მათგანი თავს უწოდებს „ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელს“, მისი გვარია იუზბაში (კაპიტანი) მაჰმედ ყაზიმ, მეორე თავს უწოდებს „გერმანიის დელეგატს ავღანისტანში“, მისი გვარია გადლევი მაჰმედ ბარაკატ ულლა. ტაშკენტის გაზეთ „იშტრაკიუნ“-ში („კომუნისტი“) დაბეჭდილია მათი მოწოდება „აზიის ყველა მუსულმანთა მიმართ“, სადაც ნათქვამია, რომ ინგლისელებმა ხელთ ჩაიგდეს მუსულმანთა სამღვთო ადგილები: სირია, მექა, მედინა, ნეჯეფი, ქერბალა და სხვ. რომ ინგლისელებს სურთ ევროპიდან ოსმალების განდევნა, რომ მათ ეშინიანთ რევოლუციისა ინდოეთში და ამიტომ მოვიდნენ თურქესტანშიო. ამიტომ ისინი მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ საბჭოთა მთავრობას და ყველა მუსულმანებმა ებრძოლონ მთელი კაცობრიობის და განსაკუთრებით მუსულმანთა განთავისუფლების მტრებს.

ერთი სიტყვით, საბჭოთა მთავრობის სახელით მათ გაჰყავთ პანისლამისტური იდეები.

X.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

Б. Ишханянъ -„Метаморфоза грузинской соціалъ-демократіи“. ფ. 2 მ. 1919 წ. ბაქო.

ეს ახალი ბროშურა შესდგება გაზეთ „Наше время“-დან გადმობეჭდილი წერილებისაგან. როგორც ხედავთ, ბროშურა ეკუთვნის ავტორს, რომელსაც დაწერილი აქვს წიგნები: „Экономическія основы Армяно-Грузинскаго антагонизма“, „Развитіе имперіализма и милитаризма въ Германіи“ და სხვ. სამწუხაროდ, რამდენადაც თენდენციურად დაწერილია ის წიგნები, იმდენად ცალმხრივია და უკიდეგანო კრიტიკის გარეშე სდგას ავტორის ეს წიგნაკი. ავტორი ეხება საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობას ამიერ-კავკასიაში და მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას. პირდაპირ უნდა ითქვას: არ გვეგონა თუ ბ. იშხანიანი ასე დაქვეითდებოდა და ამგვარ წიგნაკს გამოუშვებდა. შიგ ერთი ორიგინალური და სერიოზული აზრიც არ არის, მთელი წიგნაკი შესდგება იმ მწვავე და ყალბ აზრებისაგან, რომელნიც შემუშავებულნი აქვთ საქართველოს სოციალდემოკრატიაზე დაშნაკელებს, დიდმპყრობელ „სოციალისტებს“ (ესერებს და ფსევდო მენშევიკებს) და სხვა ჩინოვნიკურ-ინტელიგენტურ და ბურჟუაზიულ-შოვინისტურ პარტიებს. ავტორი კიდეც მიჰყვება ამ პარტიებს ამ საკითხში. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ მის წიგნაკიდან ამონაწერებს, რომლებიც კი მოგვეწონება, რადგანაც მთელი ბროშურა ამისთანა ამონაწერებიდან შესდგება. ავტორი მე-13 გვერდზე სწერს: „Чхенкели, какъ извѣстно, совершилъ явное предательство въ сдачѣ Карса туркамъ“. შემდეგ მე 25 გვ.: „Партія Жорданія подняла на крестъ и распяла всѣ элементарныя демократическія идеи и принципы“. ავტორი ბრალს სდებს ს. დ. ეროვნულ უმცირესობათა დევნაში: „Прежде предписанія о гоненіяхъ санкціонировалъ и освѣщалъ бюрократъ и реакціонеръ Столыпинъ, а теперь то же самое дѣлаетъ демократъ и революціонеръ Жорданія“. (გვ. 22) ავტორი ადარებს ადერბეიჯანს და საქართველოს და ამბობს: „Быть армяниномъ само по себѣ считалось преступленіемъ въ эти дни (სომხეთ-საქართველოს ომის დროს. ომის გამოცხადებაში ბრალს საქართველოს სდებს. ხაზი ავტორისაა. არ—მ.) въ столицахъ Азербейджана и Грузіи“. მე-28 გვ. ავტორი ამბობს: „Въ дружбѣ съ султанской Турціей и въ покровительствѣ кайзеровской Германіи так. наз. „демократическая республика“ Грузіи нашла своихъ новыхъ союзниковъ“ შემდეგ მოთხრობილია ინსინუაციები ც ჩვეულებრივი ლათაიები დემოკრატიული და სოციალისტური იდეების ღალატზე და Tutti frutti ყველა ცოდვების შესახებ... ავტორი პირველ 10 გვერდზე სცდილობს მატერიალისტური მეთოდით მიუდგეს საკითხს, მაგრამ მისი „ანალიზი“ არის უბადრუკად პრიმიტიული ხასიათისა და რთული საკითხი, საპოლიტიკო და სოციალური კითხვები გასაკვირველად გამარტივებულია, მეთოდი კი არსებითად მეტაფიზიკურია. უკეთესი იქნება ვსთქვათ, რომ ავტორს არავითარი მეთოდი არა აქვს, რომლისაც ისეთ დასკვნებს აკეთებს, როგორც ამოწერილი მარგალიტებია. ეტყობა ამის წერის დროს ნაციონალისტური სულისკვეთების და გრძნობის გავლენის ქვეშ ყოფილა. ჭეშმარიტად, რომ დიდი „მეტამორფოზა“ მოუხდარა... ბ. იშხანიანის მსოფლმხედველობაში!

ღვარძლის თესვა—გამოკვლევის მაგიერ, აი ამ ბროშურის დახასიათება.

არ—მ.

ექიმთა ყრილობა

თფილისის მაზრის ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილება, ერობათა ცენტრალური ბიუროსთან შეთანხმებით, ამა წლის 12—18 თიბათვეს ქ. თფილისში, ერობის ბინაზე, გოლოვინის პროსპექტი № 6, საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობათა საექიმო-სასანიტარო განყოფილებების გამგე-ექიმთა ყრილობას იწვევს.

I ყრილობის მიზანია: 1) გათვალისწინებულ იქნას—თუ რა გააკეთა თვითეულმა ერობამ საექიმო-სასანიტარო დარგში; 2) გამორკვეულ იქნას—გაკეთებული და ცხოვრებაში განხორციელებული ამა თუ იმ ერობის საექიმო სასანიტარო საქმიანობა ემსგავსება საზღვარ-გარეთის ერობის მკურნალობა-სანიტარიას, ე. ი. მის ზოგად პრინციპებს და დებულებებს, თუ იგი სხვანაირად მოეწყო ჩვენში; 3) თუ ჩამოსულ ამხანაგ ექიმების მოხსენებებიდან გამოაშკარავდა ერობების საექიმო-სასანიტარო საქმიანობის სხვადასხვაობა, გამორკვეულ იქნას რამდენად მისაღები და მიზანშეწონილი აქნება ეს ჩვენი სპეციალური საქმისთვის; 4) თუ ხალხის ჯანმრთელობისთვის ერობათა მიერ მოწყობილი ს.-ს. ორგანიზაცია და საქმიანობა მიუღებელი იქნება—გამოინახოს ის გზები და საშუალებანი, რითაც შეიძლება ერობის საექიმო-სასანიტარო საქმიანობის გაერთგვაროვნება და ერთ დებულება-პრინციპებზე აშენება; 5) გამორკვეულ იქნას მომავლისთვის საექიმო-სანიტარო საქმიანობის პროგრამა-სავალდებულო თვითეული ერობისთვის; 6) ჩამოსულ ამხანაგ ექიმების გაცნობით და დაკავშირებით ნიადაგი მოემზადოს და საძირკველი ჩაეყაროს მომავალ გაერთიანებულ საექიმო-სანიტარულ დარგის მუშაკთა საქმიანობას და ერობის ექიმთა კავშირს; 7) გარდა ორგანიზაციული მუშაობისა და საპროგრამო საკითხების განხილვისა—ერთად მოვუსმინოთ 10—15 შემდეგი თემის ლექციას: „უკანასკნელი აღმოჩენა გამოკვლევანი მკურნალობა-სანიტარიის სხვადასხვა დარგებში“. ლექციებს წაიკითხავენ ჩვენი ცნობილი პროფესორები და ექიმები. II. ყრილობის საპროგრამო საკითხები: 1) მაზრის ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილება და მისი გამგე (უკანასკნელის მოვალეობა-უფლებანი, დამოკიდებულება გამგეობასთან და უბნის ექიმებთან; მისი მოწვევა დათხოვნის საკითხი; მისი ჯამაგირის, დღიურის გამორკვევა საზოგადოთ ყველა ერობებისთვის სახელმძღვანელოდ). 2) საერობო სამკურნალო უბანი (მისი სივრცე-რადიუსი, უბანში მცხოვრებთა რაოდენობის საშუალო რიცხვი; საუბნო საავადმყოფო საჭირო განყოფილებებით მისი საუკეთესო ტიპი; საეპიდემიო ბარაკები; მარტივი დეზინსექტორის და აბანოს ნიმუშები). 3) უბნის სამედიცინო პერსონალი (ექიმის, ფერშლის, ბებია-ქალის მოვალეობა-უფლებანი; მათი მოწვევა დათხოვნის უფლებრივი საკითხი; დამოკიდებულება მაზრის საექიმო საბჭოსთან და მაზრის ერობის გამგეობასთან, პერსონალის ჯამაგირი; პერსონალის დაზღვევის საკითხი გარდაცვალების და შრომის უნარის დაკარგვის დროს). 4) ერობა და სანიტარული ორგანიზაცია და საქმიანობა (სამაზრო სანიტარული საბჭოს შემადგენლობა, უფლებები და მისი საქმიანობა, საუბნო სანიტარული საბჭო, მისი შემადგენლობა, უფლებები და საქმიანობა; საზოგადოების სანიტარული სამზრუნველოს შემადგენლობა და მისი ფუნქციები. 5) ერობა და წამლობითი მედიცინის მოწყობა; 6) ერობა და მოარულებთან ბრძოლა; 7) ერობა და მალარიასთან ბრძოლა; 8) ერობა და ჭლექთან ბრძოლა; 9) ერობა და საყოველთაო-სავალდებულო ყვავილის აცრა; 10) ერობა და დასტაქრული საქმის მოწყობა; 11) ერობა და ვენერიულ ავადმყოფობებთან ბრძოლა; 12) საერობო სანიტარული სტატისტიკა (ორ კვირეული სამკურნალო ანგარიშების ნიმუშები, თვიური ანგარიშების ნიმუშები, ზოგიერთი გადამდები სენისთვის ცალკე ბარაკების ნიმუშები); 13) ერობა და თვალის ავადმყოფთა წამლობა; 14) ერობა და საბებიო გინეკოლოგიური დახმარება; 15) ერობის აფთიაქის მოწყობა—მისი ტიპი სოფლად და ქალაქად; წამლეულობათა საწყობების მოწყობა; რომელი საფარმაცევტო ცენზის მოსამსახურე დასჭირდება ერობას.

P. S. 1) აუცილებლად საჭიროა ყრილობაზე დასწრება ყველა ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილებების გამგე-ექიმთა და სასურველია თვითეულმა ერობამ ერთი ან ორი უბნის ექიმიც გამოგზავნოს, თუ ეს ადგილობრივი პირობებით მოსახერხებელი იქნება. 2) ვთხოვთ ამხანაგებს,—გარდა ადგილობრივ საექიმო სასანიტარო საქმიანობის შესახებ მოხსენებისა—ყრილობის რომელიმე საპროგრამო საკითხზე მოხსენება წარმოადგინონ; 3) ხუთ თიბათვემდე ჩვენ უკვე აქ უნდა დეპეშით ვიცოდეთ, თუ თვითეული ერობიდან რამდენი ამხანაგი-ექიმი მოდის ყრილობაზე; 4) II თიბათვეს, საღამოს 7 საათზე, ერობის ბინაზე, ყრილობაზე ჩამოსულთ ამხანაგური შეხვედრა მოხდება. 5) თუ დრო ნებას მოგვცემს მოწყობილი იქნება რამდენიმე ექსკურსია სხვადასხვა დაწესებულებებში; სამკურნალოებში, ჰოსპიტლებში, ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში, სულით ავადმყოფთა კოლონიებში და სხვა. 6) თფილისის მაზრის ერობის სასანიტარო განყოფილება ამხანაგების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ყრილობაზე II თიბათვეს ჩამოსულ სადგურის პირველი კლასის დარბაზში, გაზეთების კიოსკის მახლობლად, მარცხენა ხელზე წითელი ნიშნით მორიგეები შეხვდებიან და ერობის ავტომობილით ყრილობის წევრებისთვის დამზადებულ უფასო ბინაზე წაიყვანენ.

საქართველოს რესპუბლიკის ერობათა ცენტრალური ბიუროს წევრი დ. ონიაშვილი.

თფილისის მაზრის ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგე ექ. ი. ლომოური.

ს.-დემ. პარტიაში

ქ. ბორჯომში. 28 აპრილს შესდგა ადგილობრივ სოც.-დემ. კომიტეტის და ქალაქის თვითმართველობის ფრაქციის შეერთებული სხდომა.

მუშათა კლუბის მოწყობის შესახებ

კრებამ დაადგინა მამულის გამგეს დაწყებული შენობის დამთავრება გაიცეს იჯარით ვინმეზე სხვაფრივ მისი მეურნეობა სხვა და სხვა მიზეზების გამო ფერხდება. უკანასკნელად კრებამ მიიღო სამიწათმოქმედო მინისტრის მოწერილობა მამულის გამგის საქმეზე, რომელშიაც მინისტრს საჭიროთ არ მიაჩნია ბორჯომში ქალაქის თვითმართველობის შემოღება და მით უფრო ქალაქის თავად მამულის გამგის ყოფნა. ამ საკითხის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და ზოგის მიიღო ქალაქის თვითმართველობის აუცილებლობის დასკვნაზე. ამის შესახებ სამინისტროში მოსალაპარაკებლად და განსამარტებლად კრებამ აირჩია დელეგაცია, რომელსაც დაევალა ბორჯომში შემოღებულ ქალაქის თვითმართველობის ფორმის დაცვა. არჩეულ იქნენ საბჭოს თავმჯდომარე ეფ. ს. კანდელაკი და გამგეობის წევრი რ. გაგუა.

2 მაისის სხდომაზე პროფესიონალური კავშირების შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ზაქრაძემ, მან აღნიშნა რამოდენიმე ტექნიკური დაბრკოლებანი, რომლის გამო პროფ. კავშირის მოწყობა დაგვიანდა. კრებამ კომისიას მისცა უკანასკნელი ვადა 15 მაისამდის, რომელ დროისათვის უნდა დასრულდეს პროფ. კავშირის გამგეობის არჩევნებიც.

რაიონებიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. შანშიაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ სოფლებს ადგილი აქვს ზოგი ძალების მიერ მოწყობილ სხვა და სხვა პროვოკაციულ გამოსვლებს. კრებამ დაადგინა, რომ ასეთ შემთხვევაში მიღებულ იქნას ყოველგვარი ჯეროვანი შესაფერი ზომები.

ნოდე.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 8 მაისს მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომამ მოისმინა ტფილისის კომიტეტიდან ი. ირემაშვილის მოხსენება. შემდეგ მოსმენილ იქნა მე-4 სამ. ლ. უბნის ქმ-კოლექტივიდან ამხ. ქევხიშვილის მოხსენება. მე 5 სამილ. ქმ-კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ოძელაშვილი. ამხანაგი აღნიშნავს, რომ მცირე-კოლექტივის წევრების უმრავლესობა გვარდიაში არიან ჩაწერილი და შექმნილ მდგომარეობის გამო მათ დიდი ხნობით ფრონტზე უხდება ყოფნა, რითაც საშუალება ერთმევათ ქმ კოლექტივში მუშაობისა. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია მოხდეს ხელახალი არჩევნები ქმ-კოლექტივისა. ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციისაგან მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ქ. კიკნაძემ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. კვაჭანტირაძე. სამაისო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომისიის წევრი გრიგოლაშვილი.

ნაპერწკალი.

ᲡᲣᲤᲡᲐ. 4 მაისს შესდგა სუფსის რაიონის ს.-დ. კოლექტივის კრება. გურიის ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ვ. ნუჯაძე.

გვარდიელების მობილიზაციის შესახებ კრებამ დაადგინა ემცნოს ყველა „იარაღებს“ და ხელი შეეწყოს მობილიზაციის გატარებას. 26 მაისის დღის მოწყობა დაევალა კოოპ. 1-ლ მაისის მომწყობ კომისიას.

ბ. პანტურია.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ᲒᲝᲠᲘ. 2 მაისს გორში გაიხსნა გორის მაზრის სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა მეორე ყრილობა, რომელსაც დაესწრო 30 დელეგატი მაზრაში არსებულ ყველა შტაბებიდან.

თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ამ. გიორგი გედევანი; მის ამხანაგად ამხ. თავშავაძეს, მდივნად ნიკო სიხარულიძეს, მის ამხანაგად ბაგრატ ილურიძეს. სამანდატო კომისიაში: ვანო ქარცივაძეს, გიგინეიშვილს და ხმალაძეს. ამავე კომისიას ევალება რეგლამენტის შემუშავება.

ყრილობას ესალმებიან სამაზრო ერობის წარმომადგენელი ამხ. შაქრო ჯავახიშვილი.

თანახმად ყრილობის მიერ მიღებულ წესრიგისა, მოხსენებას—გვარდიის წარსულში და აწმყოში და მისი პერსპექტივები—აკეთებს ვ. ქარცივაძე. მოხსენების გარშემო იმართება კამათი. ყრილობა ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: „მოისმინა რა მოხსენება გვარდიის მოღვაწეობის შესახებ წარსულში და აწმყოში, ყრილობა ადგენს: 1) გვარდიის წარსული და აწმყო მოქმედება ამტკიცებს, რომ გვარდია იყო და არის ერთად-ერთი ძალა, რომელიც თავ განწირვით იცავდა და იცავს რევოლიუციის მონაპოვართ, მან შესძლო ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვა—როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების თავდასხმებისაგან; 2) გვარდია, თავისი ორგანიზაციის ფორმითა და კონსტრუქციით უფრო უახლოვდება სახალხო მილიციის იდეას, რომელიც დემოკრატიის იდეალი იყო და არის ნაცვლად მუდმივ ჯარისა და 3) რადგანაც საერთაშორისო მდგომარეობა საზოგადოთ და კერძოთ ჩვენი რესპუბლიკისა გვაკარნახებს დემოკრატიას აუცილებლად ყავდეს შეიარაღებული ძალა, რომელიც დაიცავს მას ყოველთვის, როცა რაიმე საფრთხე იჩენს თავს,—ყრილობა საჭიროთ თვლის გააცხოველოს მუშაობა მაზრაში და ყოველგვარი ზომები მიიღოს გვარდიის შემდგომ [illegible] დასაფუძნებლად, მისი რიცხვით გამრავლებით და ლონისძიებით შესაფერ ღონეზე აყვანით. გარდა ამისა ყრილობა საჭიროთ თვლის გვარდიის ორგანიზაციის ფორმა ყველგან ერთნაირი იყოს და გვარდიელთა [illegible] მუდმივი ან სხვა ცალკე რაზმები არ უნდა არსებობდენ“.

შტაბის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. გაბუნია.

მოხსენების შემდეგ იხსნება კამათი, რომლის შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

მოხსენებები ადგილებიდან: მოხსენებებს აკეთებენ ბოლნისის, ხაშურის, ქარელის, ატენის, ახალქალაქის, ქვემო ჭალის, მეჯვრისხევის, გორისა, ფლავისმანის და გორის მუდმივი რაზმის წარმომადგენლები. როგორც მოხსენებიდან ირკვევა, სარაიონო შტაბები თავის მოწოდების სიმაღლეზე მდგარან ყველგან, მუშაობა ყველგან ერთნაირის სისტემით ხდება, შტაბებთან მოწყობილია მუდმივი ყარაული, სისტემატიური მეცადინეობა, ტყვიისმფრქვეველებისა, ტელეფონებისა და მწყობრთა განსაკუთრებული რაზმები, სარაიონო შტაბები ყოველთვის კონტაქტით მუშაობენ სამაზრო და მთავარ შტაბთან და არავითარ ბიუროკრატიზმს ადგილი არა აქვს.

მიმდინარე მომენტზე მოხსენებული მთავარი შტაბის წევრი ამხ. ლ. სადირაშვილი. ყრილობამ მოისმინა მოხსენება და გადავიდა მორიგ საკითხზე.

ფარული კენჭის ყრით შტაბში არჩეულ იქნენ: იასონ გაბუნია, ბაგრატ ილურიძე, გიორგი მინაშვილი, ნიკო სიხარულიძე და ჯანელიძე. კანდიდატებათ: გაგუა ვიქტორ, მარიამიძე მიხეილ.

ნიკო გურული.

„ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ“ 7, 8, 9 ᲓᲐ 12 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ.

1) 7 მარტს სახაზინო თეატრში საოპერო სპექტაკლიდან შემოვიდა: ბილეთების გაყიდვით 7109 მან. 40 კაპ., პროგრამებიდან 503 მან., აუქციონი (შაქარი) 1720 მან., ქუდით ფულის მოგროვებიდან, რომელიც თეატრში მოხდა, 2567 მ. 92 კაპ., ბექის ბონები 10 მან., კუპონები 2 მან. 52 კაპ. სულ 11,912 მან. 82 კაპ. 2) 8 მარტს, არტისტულ საზოგადოებაში კაბარე: მაგიდების დაკვეთით 2710 მან., საზანდრის ნომრის აუქციონიდან 4100 მან., ცეკვათა გუნდის ქუდებით ფულის მოგროვებით 450 მან., საჩაიე ბუფეტიდან 2529 მან., შამპანიურისა ყვავილების გაყიდვიდან 3384 მან. 50 კაპ., ბუფეტისა და ღვინის გაყიდვის პროცენტები 3574 მან. 64 კაპ., ქუდით ფულის მოგროვებით თეატრ „ტარტიში“ 1388 მან. 50 კაპ. სულ 18,136 მან. 64 კაპ. 3) 9 მარტს „ლაღიძე არგონავტებში“ გამართულ საღამოდან: შესავლის ბილეთებიდან შემოვიდა 380 მან., ბუფეტიდან პროცენტები 495 მან., აუქციონიდან (შაქარი) 3950 მან., ქუდით ფულების მოგროვებით 1271 მან. 94 კაპ. სულ 6096 მან. 94 კაპ. 4) სახალხო უნივერსიტეტიდან 758 მან. 5) 12 მარტს ყუთებით ფულის შეგროვებით შემოვიდა 10919 მან. 64 კაპ. 6) „უმუშევართა ფონდში“ შემოვიდა: სარაჯიშვილისაგან 500 მან., ადელხანოვის ქარხნის მუშათა პროფესიონალური კავშირისაგან 1350 მან., ადელხანოვის ქარხნის კანტორიდან 1000 მან., ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირიდან 1000 მან., ა. ა. ენფიაჯიანცისგან 1000 მან., ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხნის კანტორიდან 500 მან., ვაჭრობა მრეწველობის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირიდან 1400 მან., რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირიდან 5000 მან., ლოტერეა და ამხანაგობა „ტარტი“ 800 მან., გომართელი 100 მან., მებაჟეთა პროფესიონალური კავშირი 100 მან., არისტაკესიანი 10 მან., ტრამვაის ელექტრონის სადგურის მოსამსახურენი 371 მან., საზოგადოება კახეთის მუშები 988 მან., ნ. ნ. 100 მან., ამირაგოვის ოჯახიდან 100 მან., მ. ზ. რაზმანოვიჩი 100 მან., ქალაქთა კავშირის კოოპერატივის გამგეობამ 1000 მან. სულ 15419 მან. 7) დარჩენილ ლენტისა და სხვა სურათების გაყიდვიდან შემოვიდა 2023 მან. 63 კაპ. სულ 65,266 მან. 67 კაპ. 8) შემოწირულ იქნა სხვადასხვა საგნები: მიწათმოქმედების სამინისტროდან 320 ბოთლი ღვინო; ანანოვისაგან 19 ბოთლი ღვინო; 2 ბოთლი კონიაკი; 50 ბოთლი ღვინო „საერო“, „კავშირთა კავშირისაგან“ 30 ბოთლი ღვინო; საბალახნო სკოლიდან 25 კონა ყვავილი, „კომეტა“ 3000 ცალი პაპიროსი.

გასავალი „უმუშევართა დღის“ მოწყობისათვის 16538 მან. 03 კაპ. დარჩა: 48,728 მან. 64 კაპ. „უმუშევართა დღეების“ მომწყობ საკონტროლო კომისიის წევრი ეფ. მახვალაძე. პარიტეტული კომისიის თავმჯდომარე პ. კახიანი. „შრომის ბირჟის“ გამგე ნ. გუკა.

პარიტეტული კომიტეტი უცხადებს მადლობას ყველა იმ პირთ, დაწესებულებათ და ორგანიზაციებს, რომელნიც ამა თუ იმ სახით დახმარებას აღმოუჩენდენ „უმუშევართა დღის“ მოწყობაში. პარიტეტული კომიტეტი თავის მოვალეობად სთვლის აცნობოს ყველას, რომ ამ დღეებიდან შემოსული ფულით ის ფიქრობს გახსნას უფასო საჩაიე პურის დარიგებით შრომის ბირჟასთან. საჩაიეს გახსნა განზრახულია 1 მაისიდან. 5 აპრილიდან შრომის ბირჟასთან გახსნილია უფასო სამკითხველო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓ. ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

„ერთობა“-ს № 97 ქალაქთა კავშირის პურის მცხობელთა სექციის მონდობილობით კაკურია მეტად აბუჩად აგდებს იმ გარემოებას, რომ ქ. ტფილისის გამგეობამ ჩამოართვა თავის პურის საცხობი ქალაქთა კავშირს, ვინაიდან უკანასკნელი ძალიან ცოტა ნამცხვარს (პრიპეკს) აძლევდა ქალაქს.

ბ-ნი კაკურია სწერს, რომ 13,05 გირვანქა ფუთ ფქვილზე ნორმალური ნამცხვარი (პრიპეკი) არისო.

აქ წარმოდგენილი აქტიდან *) სჩანს, რომ კანადის ფქვილი 25 პროც. სიმინდის ფქვილის შერევით საშუალო ნამცხვარს (პრიპეკს) იძლევა 18 გირვანქას ფუთ ფქვილზე. კომისიაში იღებდნენ მონაწილეობას ქალაქთა კავშირის კონტროლი და სპეციალისტი. პურიც მშვენივრად გამოცხობილი და გამოშრობილი იყო.

აქედან აშკარაა, რომ ბ. კაკურიას ცნობები [illegible] მართალი. ქალაქის გამგეობის მოთხოვნილება კი ნამცხვარის (პრიპეკის) მომატების შესახებ კანონიერი იყო, რაც დაამტკიცა პურის საცდელმა გამოცხობამ.

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა.

ᲤᲝᲡᲢᲐ

ი. ახუთელს. გვაცნობეთ თქვენი ადრესი.

---

*) აქტი მივიღეთ. რედ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
ოპერა ს. ი. ევლახოშვილის ხელმძღვანელობით ხუთშაბათს, 15 მაისს [illegible]
„ᲜᲘᲢᲣᲨᲘ“
მონაწილეობენ: ქ-ნნ. დავითაშვილი, ვაშმორისკაია, ოცხანიკოვა, ტაბენგვა, მოქინოვი, პოკორსკი, ლებიანცევი, ეზოვი.

მარია ივანეს ასულმა კრეუნკოვამ
ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ
უბადო პასპორტი № 1146, მოცემული სალანორის პრისტავის (სამარის გუბ.) სამმართველოსაგან მიღებული. პასპორტი ითვლება გაუქმებულად.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ 13 მაისს ბათუმიდან ტფილისისაკენ მომავალ საღამოს მატარებელზე № 6 საფულე კუპეჩარში, პორტფელი, რომელშიაც იყო 600 მანეთამდე ფული და შემდეგი დოკუმენტები: სტუდენტობის მოწმობა, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ექიმის მოწმობა ავადმყოფობის გამო დაწესებულებაში წარსადგენად, ჯარში სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა და მაზრის მიერ მიცემული მოწმობა თვისი ქალიშვილის ჯარის წერის ნებართვისა და აგრეთვე 2 მანეთამდე ვერცხლის ფული. მნახველს ვთხოვ განაცხადოს, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. მისამართი: ტფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს გალაქტიონ ჯიბლაძეს. (1—1)

მიხეილის და ტატიანის ქუჩის კუთხეში გაიხსნა რესტორანი
„ᲓᲐᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲣᲨᲒᲣᲚᲘ“
არის სადილი და ვახშამი ხელმისაწვდომ ფასებში. უკრავს ორკესტრი. არის ცალკე ოთახები. რესტორანის პატრონი ივანე კობერიძე. (4—3)

ექიმმა ი. ბ. ᲮᲐᲣᲮᲝᲚᲘᲐ
განაახლა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებების ავადმყოფებისა. ავადმყოფებს იღებს დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № 2 ტელ. 4—15.

ექიმი ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲙᲝᲙᲝᲨᲘ
განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფები. მიღება დილ. 11—1½ საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი მ. შ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
შინაგან და სიფილის-ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. [illegible] ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი ა. ი ᲞᲐᲞᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებების ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ. № 48.

ექიმი ლ. ი. ᲘᲐᲨᲐᲠᲘᲚᲘ
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღ 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი ლ. ბ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებების ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა: გუნიბის ქ. № 41. ტელ. № 14—60.

ექიმი ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ
სპეციალისტი—მალარიით (ციებ-ცხელება და შინა წყლულებით დაავადებულთ) ხანგრძლივ ნაკლებულებათ, ყელისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მიხაკოვის ქ. № 11, ზუმბლის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი რ. ბ. ᲖᲘᲖᲚᲝ-ᲮᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
მედიცინის დოქტორი [illegible] იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებო დახმარებას. [illegible] დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო (შენობაში საწოლებით) ექიმი ᲓᲝᲮᲜᲘᲜᲘᲡᲐ
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათ. საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლოს). მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელ. 5—97.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ბ. ᲮᲘᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრონ წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სოლუქსის [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. მეზღვრის ქ. № 25, ტელეფ. 7—92.

ექიმი ნ. ლ. ᲢᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, სიფილის და ქალურ სნეულებებზე ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმბირცევის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ბ. ბ. ᲛᲣᲠᲒᲐᲜᲘ
სპეციალისტი შარდისა და შინა შეყვანების („606“ და „914“), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს იღებს 4—5 საათამდე. [illegible] მისამ: [illegible] ქ. № 33.

ექიმი მ. ი. ᲮᲘᲠᲘᲞᲘᲐᲜᲘ
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა [illegible] ქუჩა № 24, ტელეფ. 1—85.

ექიმი ლ. ი. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ
შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებებით ავადმყოფებს იღებს დილის 12—1 საათ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: [illegible] ქ. № 7 [illegible], ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი აპოლონ პავლეს ძე ურუშაძე ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პროსპ. 34. ტელ. 10—81.

გახსნილია კერძო სამკურნალო საწოლებით. მიიღება ყოველგვარი სნეულებით ავადმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფონი 5—97, ავადმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონალური ავადმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი ბ. ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
სპეციალური: შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფობა: მალარია, ტუბერკულიოზი, გულის, ფილტვების და ნაწლების სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. სახლის გარდა ღებულობს ავადმყოფებს ვეზლის საავადმყოფოში 1 საათ.—3 საათ. ბინის მისამართი: პეტროგრადის ქუჩა, კუთხე მიხეილის პროსპექტისა, კირიონის ქუჩის მახლობლად, ტელეფონი 8—48.

ტფილისის ქალაქის სახაკლაო აცხადებს, რომ შაბათს, 24 მაისს, დღის 12 საათზე სახაკლაოს კანტორაში დანიშნულია
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ
იჯარით გაიცემა სახაკლაოსთან არსებული რესტორანი, პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე სახაკლაოს კანტორაში.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲥᲐᲠᲗᲕ. ᲕᲐᲭᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ
ბ-ნი ვ. გორდელაძე ღებულობს [illegible] საქმეებს საქონლის ყიდვისა და გაცვლის საქმეებში. მისამართი: ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲙᲘᲜᲐᲯᲘᲐᲜ-ᲮᲐᲜ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲩᲐᲥ-ᲠᲣᲮ. ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲜ Ვ ᲒᲝᲠᲓᲔᲚᲐᲫᲔᲡ. (10—2)

ხუთშაბათს, მიმდინარე წლის 15 მაისს ქალაქის თვითმართველობის საიჯარო-საადგილმამულო განყოფილების მიერ დანიშნულია
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ
იჯარით გაიცემა ქალაქის „ბუდკა“ [illegible] ქუჩ. [illegible] ახლო. კონდიციების გაცნობა შეიძლება საიჯარო საადგილმამულო განყოფილების კანცელარიაში (ქალაქის თვითმართველობა) ყოველდღე, უქმეების გარდა, დილის 10—12 საათამდე. (3—3)

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ
ამით აუწყებს ამიერ კავკასიის და საქართველოს ყველა კოოპერატივებს (როგორც მომხმარებელთა, აგრეთვე საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს), რომ 28 მაისს, ქ. ტფილისში შესდგება
ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ
საქართველოს კოოპერატივებისა და 25 მაისს, ქ. ტფილისშივე შესდგება ამიერ-კავკასიის (საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის) კოოპერატიული ყრილობა. ყრილობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ტფილისში, პლეხანოვის (ნიკოლოზის) პროსპ. № 178, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში.
(3—2) ამიერ-კავკასიის კოოპერატივების ყრილობათა საბჭო.

[illegible] № 1.